ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 მაისის №01-02/90 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთან

გასაფორმებელი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ----------, ---- წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - **„ბსუ“** ან ,,უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი ბსუ-ს რექტორის _____ მიერ და მეორე მხრივ, _____ (შემდეგში - **,,მსმენელი“), ვთანხმდებით შემდეგზე:**

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია მსმენელის მიერ ბსუ-ს პროფესიული **მომზადების**/პროფესიული **გადამზადების** პროგრამაზე **,,----------„** (შემდეგში - **„პროგრამა“)** გავლასთან (სწავლასთან) დაკავშირებით მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია.

1.2. ,,პროგრამა“ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ (შემდეგში - **,,პროგრამის ხარისხის მექანიზმები“) და** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის“ (შემდეგში - **,,პროგრამის განხორციელების წესი**“), ასევე ,,პროგრამის“ განხორციელებასთან/სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გამოცემული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა აქტების საფუძველზე.

1.3. წინამდებარე მუხლში აღნიშნული სამართლებრივი აქტები: **,,პროგრამის ხარისხის მექანიზმები“, ,,პროგრამის განხორციელების წესი**“, ბსუ-ს **შინაგანაწესი**, სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება ,,პროგრამაზე“ სასწავლო პროცესს ან/და აწესრიგებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს **წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.**

1.4. ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება (რეგულირდება): ა) ბსუ-ში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი დებულებები **(თავი** II); ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი **(თავი III)**; გ) უნივერსიტეტის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, **მსმენელის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა“ (თავი** IV); დ) ,,უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი **(თავი** V).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების

პროგრამის განხორციელების შესახებ ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების 1.3. პუნქტში აღნიშნული რეგულაციებით) და წინამდებარე ხელშეკრულებით.

2.2. **მსმენელი** ადასტურებს, რომ ამ **ხელშეკრულების ხელმოწერამდე გაეცნო** წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ, ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge.) განთავსებულ ბსუ-ს რეგულაციებს (მათ შორის ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ასევე პროგრამას, რომელზეც უნდა ისწავლოს) და **იღებს ვალდებულებას:**

ა) შეასრულოს შესაბამისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნები, მიიღოს პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობა;

ბ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა;

გ) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge. ან/და გაეგზავნება მსმენელს ელფოსტაზე ან/და განთავსდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საინფორმაციო დაფაზე);

დ) შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები, ბსუ-ს ეთიკის კოდექსის და შინაგანაწესის მოთხოვნები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

2.3. მსმენელის უფლებებია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე (ხელმოწერამდე) გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეგულაციებს (სამართლებრივ აქტებს) და პროგრამას;

ბ) მიიღოს პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან მიიღოს კონსულტაციები პროგრამის შინაარსზე, შეფასების კომპონენტებზე, შეფასების გასაჩივრების მექანიზმებზე ან/და პროგრამის განხორციელების/სასწავლო პროცესის საორგანიზაციო საკითხებზე;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;

დ) პროგრამის მოთხოვნების შესრულების (პროგრამაზე სწავლის დასრულების), მსმენელის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების შემთხვევაში, მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად შევსებული სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;

ე) პროგრამაზე სწავლის მიზნით ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში;

ვ) ისარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს რეგულაციებით მინიჭებული უფლებებით.

2.4. „უნივერსიტეტის“ უფლებებია:

ა) განსაზღვროს პროგრამაზე სწავლის განრიგი, მათ შორის შეფასების ჩატარების წესი და დრო, შეიტანოს ცვლილებები სწავლის საორგანიზაციო პროცედურებში (შესაბამისი ცვლილების შესახებ მსმენელის ინფორმირებით);

ბ) არ გასცეს მსმენელზე პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, თუ მსმენელი არ შეასრულებს პროგრამის მოთხოვნებს და ამ ხელშეკრულების პირობებს;

გ) დაამუშაოს მსმენელის პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“

მოთხოვნათა დაცვით, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროების და მსმენელის თანხმობის გათვალისწინებით.

2.5. „უნივერსიტეტის“ ვალდებულებებია:

ა) უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო პროცესი შესაბამისი პერსონალით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ბ) შეუქმნას მსმენელს პროგრამის გავლისათვის (სწავლისათვის) შესაბამისი პირობები (გააცნოს პროგრამის შინაარსი, სასწავლო ცხრილი, პერსონალი, რეგულაციები) და უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში სწავლის პირობები;

გ) პროგრამის გავლის/ათვისების შედეგების გათვალისწინებით და ამ ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გასცეს მსმენელზე სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 3. სწავლის საფასური, *ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მსმენელის სტატუსის შეწყვეტა*

3.1. პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბსუ-ს მართვის ორგანოს სამართლებრივი აქტით (----------)

3.2. მსმენელის სწავლის საფასური შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან (მსმენელის სტატუსის მოპოვებიდან) და მოქმედებს ამ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში, მსმენელის სტატუსის შეწყვეტამდე.

3.4. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამის პროგრამაზე სწავლის დასრულება;

გ) შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;

დ) გარდაცვალება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და „**პროგრამის განხორციელების წესით**“ გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 4. მსმენელის პერსონალური მონაცემების დამუშავება

4.1. მსმენელი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, სამუშაო ადგილი და პოზიცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროგრამაზე სწავლის პროცესში ჩატარებული შეფასების შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროგრამაზე დასწრების, სერტიფიკატის/სერტიფიკატის დანართის დამზადებისა და გაცემის შესახებ ინფორმაცია), **პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვების, ჩარიცხვისა და პროგრამის სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.**

4.2. მსმენელი ადასტურებს (აცხადებს), რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება მსმენელის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

4.3. მსმენელი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი <u>გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება</u>**,** თუ აღნიშნული მონაცემები <u>არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება</u> განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1.საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით.
5.2.ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ცვლილებები ან დამატებები ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.
5.3.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.
5.4.მხარეები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე.
5.5.,,მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

,,უნივერსიტეტი"
საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(მისამართ: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35; **ბსუ-ს ვებგვერდი** -<u>www.bsu.edu.ge.</u>

ელფოსტა: <u>info@bsu.edu.ge</u>

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

(მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15; ელფოსტა - <u>vocational@bsu.edu.ge</u>)

ბსუ-ს რექტორი ----------
(ხელმოწერა)

,,მსმენელი"
სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
პირადობის მოწობის №_ _ _ _ _ _
პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ფაქტობრ. მისამთ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
რეგისტრ.მისამ. ----------

ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ელ. ფოსტა_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

მსმენელის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _

მსმენელის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა
(მშობელი/მეურვე/მზრუნველი)